საქართველოს გენერალური პროკურორის

ბრძანება №003

2023 წლის 28 თებერვალი

ქ. თბილისი

,,საქართველოს გენერალური პროკურატურის პროგრამული უზრუნველყოფის, უსაფრთხოებისა და ტექნიკური მხარდაჭერის ცენტრის (სამმართველო) დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გენერალური პროკურორის 2020 წლის 6 მაისის №024 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

,,საქართველოს გენერალური პროკურატურის პროგრამული უზრუნველყოფის, უსაფრთხოებისა და ტექნიკური მხარდაჭერის ცენტრის (სამმართველო) დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გენერალური პროკურორის 2020 წლის 6 მაისის №024 ბრძანებით (ვებგვერდი, 06/05/2020, სარეგისტრაციო კოდი 110060000.70.082.016036) დამტკიცებულ საქართველოს გენერალური პროკურატურის პროგრამული უზრუნველყოფის, უსაფრთხოებისა და ტექნიკური მხარდაჭერის ცენტრის (სამმართველო) დებულებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,, ბ) ანაწილებს მოვალეობებს სამმართველოს უფროსის მოადგილესა და სამმართველოს თანამშრომლებს შორის, უზრუნველყოფს სამმართველოს მუშაობის ორგანიზაციას; აკონტროლებს სამმართველოს თანამშრომელთა მხრიდან სამსახურებრივი და საშემსრულებლო დისციპლინის დაცვას;“.

2. მე-3 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-3 პუნქტი:

,, 3. სამმართველოს უფროსის არყოფნის შემთხვევაში სამმართველოს უფროსის მოვალეობას ასრულებს სამმართველოს უფროსის მოადგილე.“.

3. დებულებას დაემატოს შემდეგი შინაარსის 3^1 მუხლი:

„მუხლი 3^1. სამმართველოს უფროსის მოადგილე

1. სამმართველოს უფროსს ჰყავს მოადგილე, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს გენერალური პროკურორი.

2. სამმართველო უფროსის მოადგილე:

ა) სამმართველოს უფროსთან შეთანხმებით ანაწილებს მოვალეობებს სამმართველოს თანამშრომლებს შორის;

ბ) ხელს აწერს სამმართველოში მომზადებულ დოკუმენტებს;

გ) აკონტროლებს სამმართველოს თანამშრომლების მიერ სამსახურებივი მოვალეობების შესრულებას და შრომის დისციპლინის დაცვას;

დ) სამმართველოს უფროსის წინაშე აყენებს საკითხებს სამმართველოს თანამშრომელთა

სამსახურებრივი წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ;

ე) აკონტროლებს სამმართველოს კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე გენერალური პროკურორის ბრძანებების, მითითებებისა და დავალებების, გენერალური პროკურორის უფლებამოსილი მოადგილის, სამმართველოს უფროსის დავალებების შესრულებას;

ვ) ასრულებს გენერალური პროკურორის, გენერალური პროკურორის უფლებამოსილი მოადგილის და სამმართველოს უფროსის ცალკეულ დავალებებს;

ზ) ახორციელებს კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.“.

მუხლი 2
ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს გენერალური პროკურორი **ირაკლი შოთაძე**